ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა ტრენინგის შესახებ (25.08.2013 – 5.09.2013)

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ეგიდით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის "სანდო და მდგრადი საარჩევნო ინსტიტუტების და პროცესების გაძლიერება" ერთობლივი პარტნიორობით საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა 2013 წლის 25 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით ყვარელში, სასტუმრო „ყვარლის ედემში" ჩაატარა საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა ტრენინგი.

ტრენინგში მონაწილეობას მიიღო საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა შესარჩევი კონკურსის ფარგლებში, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით შერჩეულმა 111 ტრენერმა.

ტრენერთა ტრენინგის თემატიკა (**საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სასწავლო კურსის მიხედვით**):

- საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი;
- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში;
- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს;
- ამომრჩეველთა სიები;
- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილებები;
- კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრები

ტრენერთა ტრენინგის თემატიკა (**საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა სასწავლო კურსის მიხედვით**):

- საოლქო საარჩევნო კომისიის საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში
- ამომრჩეველთა სიები
- საარჩევნო პროცესში მონაწილე პირთა რეგისტრაცია
- საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დოკუმენტაციის მიღება და დახარისხება
- კენჭისყრის შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიაში
- განცხადება/საჩივრების შეტანისა და განხილვის წესი

ტრენინგი განხორციელდა კომბინირებული მეთოდით:

- ელექტრონული სწავლება (გამოიყენება ვიზუალიზირებული ელექტრონული პროგრამა და სასწავლო ფილმი - „კენჭისყრის დღის პროცედურები"
- ვერბალური სწავლება
- პრაქტიკული სწავლება (პრაქტიკული სავარჯიშოები, ტესტები, სიტუაციური კაზუსები)
- როლური თამაშები (საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომის ინსცენირება)

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ტრენინგებისათვის ცესკოსა და ცენტრის მიერ მომზადდა შემდეგი სასწავლო მასალა:

- ტრენერის დამხმარე სახელმძღვანელო
- პრაქტიკული სავარჯიშოების კრებული
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა დამხმარე სახელმძღვანელო ინსტრუქცია
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა დამხმარე სახელმძღვანელო ინსტრუქცია
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მოკლე სამახსოვრო ინსტრუქციები - Check-list (კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნის, რეგისტრატორის, ნაკადის მომწესრიგებლის, ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველის, გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრების სამახსოვროები).
- ელექტრონული სასწავლო პროგრამა
- სასწავლო ფილმი - „კენჭისყრის დღის პროცედურები"